საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000020449297323

№ 02-1-A **09 / იანვარი / 2023 წ.**

ბრძანება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის წევრთა შესარჩევი კომისიის შექმნისა და კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'', ,,ზ'' და „ი“ ქვეპუნქტების და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'', ,,ვ'', ,,ზ'' ,,მ'' და „ო“ ქვეპუნქტებისა და საოპერო მომზადების მიმართულების ხელმძღვანელის პროფესორის გიორგი ჭიჭინაძის 2023 წლის 09 იანვრის № 4 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის წევრთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი ჭიჭინაძე - პროფესორი, საოპერო მომზადების მიმართულების ხელმძღვანელი;
ბ) ლევან ჯაგაევი - ასოცირებული პროფესორი;
გ)ლაშა მიროტაძე - სასწავლო გუნდის ძირითადი მომღერალი, დოქტორანტი.

2.დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი თანდართული სახით (დანართი 1);
3.საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 12 თებერვლისა;
4.საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარედგინოს არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა;
5. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ თოიძე